1. აღნიშნული მიწის ნაკვეთი აგდ-ს აღებამდე იყო დაყოფილი რამოდენიმე ნაკვეთად, აგდ-ს მოთხოვნის საფუძველზე პროექტის შეთანხმებამდე გაერთიანდა ნაკვეთები ერთ საკადასტრო ერთეულად (01.13.07.020.069). ამის შემდგომ ავიღეთ მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ნაკვეთი დაყოფილი იყო ორ ფუნქციურ ზონად: სსზ-2 და ტზ-1. აქედან ტზ-1 ფართობი 12 კვ.მ წარმოადგენდა, ცაბაძის ქუჩის მხრიდან. ჩვენ გავაკეთეთ წითელი ხაზების კორექტირება, რის შედეგადაც ეს ზონა (ტზ-1) გამოეყო ჩვენ მიწის ნაკვეთს და საკადასტრო ერთეული N 01.13.07.020.069 დარჩა მხოლოდ სსზ-2 ზონის არეალში. აქედან გამომდინარე გთხოვთ აღნიშნულიც ჩასწორდეს ახალ აგდ-ში და დაფიქსირდეს მხოლოდ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

2. თქვენს მიერ მოწერილი ხარვეზის მიხედვით ითხოვთ დაზუსტებას კ-1 კოეფიციენტთან დაკავშირებით, (ვიყენებთ თუ არა 0.8-ს) და თუ ვიყენებთ დავასაბუთოთ: თავდაპირველად ამ ტერიტორიას მიენიჭა 0.9 კ-1 კოეფიციენტი (თბილისის არქიტექტურის სამსახური, ბრძანება N2234 თარიღი 15.06.2011) . სავაჭრო ცენტრის პროექტირების პერიოდში დამკვეთმა მოითხოვა 0.8 კ-1 კოეფიციენტი 0.9-ს ნაცვლად, რაზეც მივიღეთ თანხმობა. ამის შემდეგ მშენებლობის ნებართვის საფუძველზე დაიწყო მშენებლობა. დღესდღეისობით აღნიშნული კ-1 კოეფიციენტი ათვისებულია, თუმცა არა სრულად (დაახლოებით კ-1=0.76 - 0.8). დამკვეთის სურვილით ამ ეტაპზე ვახორციელებთ პროექტის კორექტირებას, რაც ითვალისწინებს, წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით, სართულების დაშენებას და სავაჭრო ცენტრის ნაცვლად მოვითხოვთ რომ აგდ-ში შევიდეს ცვლილება და დაფიქსირდეს მრავალფუნქციური ცენტრი. მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორი აქ არის ის, რომ პარკირების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და მიწისქვეშა ავტოსადგომების გარდა, სავაჭრო ცენტრის თავზე, 3 სართულზე გვინდა მოვაწყოთ ავტოსადგომები (დაახლოებით 110-120 ავტომანქანაზე) რომელსაც მოემსახურება 2 სამანქანო ლიფტი, რაც ალბათ დამეთანხმებით საკმაოდ იშვიათად ხდება ჩვენ ქალაქში. ყოველივე აქედან გამომდინარე გთხოვთ შეუფერხებლად მოგვცეთ ახალი აგდ ზემოთ მოთხოვნილი ცვლილებებით, რომ დროულად შევძლოთ პროექტის შეთანხმება.

3. რაც შეეხება კ-2 კოეფიციენტს, წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით გთხოვთ მცირედით გაგვიზარდოთ 4.6 დან 5.5 (20%-ით), რაც გულისხმობს მოსაკრებლის გარეშე კ-2 კოეფიციენტის გაზრდას.